

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და  
ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 5

ხაშური

2018 წლის 16 თებერვალი

14-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: გურამ მაზიაშვილი, ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე,  
ნატო კიკაძე, ლევან გამრეკელი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მურმან  
ცენგერაშვილი.

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 7 წევრის დასწრებით

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და  
ეთიკის კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმის განხილვის თაობაზე.

მომხს. ანა ხარებავა

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი  
წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით  
მოისმინეს სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2018 წლის  
სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ განსახილველ საკითხთა თაობაზე.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილ გეგმით ძირითადად შეფასებული იქნება, როგორც აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული ანგარიშები, ასევე შესწავლილი იქნება კომისიის დებულებიდან გამომდინარე სხვა საკითხებიც.

**აზრი გამოთქვეს:** იმედა მეტრეველმა, ცოტნე ნოზაძემ, გურამ მაზიაშვილმა:

მათ მოიწონეს წარმოდგენილი სამუშაო გეგმა და დაადასტურეს სრული მზადყოფნა ამ საკითხების მომზადებაში მონაწილეობისათვის.

**ღია კენჭისყრით** (მომხრე - 7; წინააღმდეგი - 0)

**კომისიამ გადაწყვიტა:** ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის საკითხთა კომისიის 2018 წლის სამუშაო გეგმა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე  ანა ხარეზავა